

საქართველოში ჩაის დამზადების სასწავლო პროგრამა დაიწყო



**“ჰანთანგიუანის
საერთაშორისო
ჰოდინგურმა
ჯგუფმა”
„საპარტნიორო
ფონდთან“ და სოფლის
მეურნეობის
სამინისტროსთან
ერთად საქართველოში
მაღარხარისხიანი
ჩაის დამზადების
სასწავლო პროგრამა**

დაიწყო. პროგრამის პრეზენტაცია სამეგრელოს რაიონის წაღენჭიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში შედგა.

სასწავლო პროგრამის პრეზენტაციაში მონაწილეობა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ნათია თურნავამ, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იურა ნობაძემ, “ჰანთანგიუანის საერთაშორისო ჰოდინგურმა ჯგუფის” დამფუძნებელმა, ქართული ჩაის ქარხანა LAZI-ისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მიიღეს. სწავლების მიზანია, მაღალი ხარისხის ჩაის გადამუშავების და მექანიზირებული ოპერირების ტექნოლოგიების გაცნობა.

ჩაის ინდუსტრიულ-კომერციული და კურტურულ-ტურისტული კომპლექსური პროექტი, რომლის საინვესტიციო ღირებულება 500.000 ლორს შეადგენს რამდენიმე წაწილისგან შედგება და სასწავლო პროგრამას, ჩაის პრეზენტაციის გაშენებას, ჩაის მრეწველობის გაძლიერებას და ეკოტურიზმის განვითარებას მოიცავს.

საქართველოში მაღარხარისხიანი ჩაის დამზადების სასწავლო პროგრამის მონაწილეებს პრეზენტაციაზე სიტყვით საპარტნიორო ფონდის დირექტორის მოადგილე ნათია თურნავამ მიმართა; „ჩვენს ქვეყანას

ჩაის მასშტაბური განვითარებისა და მისი მრეწველობისთვის საუკეთესო პირობები გაააჩნია და რაც მთავარია, აზიის და ევროპის ბაზრებზე დამკვიდრების კარგი შესაძლებლობა აქვს. საპარტნიორო ფონდისა და “ჰანთანგიუანის საერთაშორისო ჰორდინგური ჯგუფის” ერთობლივ პროექტით, საქართველოში შეიქმნება ჩაის ინდუსტრიულ-კომერციული და კურდურულ-ტურისტული კომპლექსური პროექტი, რომელიც საქართველოში ჩაის პრანტაციების აღდგენას, სასოფლო-სამეურნეო მიწის ეფექტურ გამოყენებას, ჩაის წარმადობის, ხარისხის ამაღლებას და რეგიონებში დასაქმებას შეუწყობს ხელს.” - განაცხადა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგიემ ნათია თურნავა.

საქართველოში მაღარხარისხიანი ჩაის დამზადების სასწავლო პროგრამის პრეზენტაციის ფარგლებში ჩინურმა მხარემ სოფლის მეურნეობის სამინისტოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გააფორმა, რომელიც ჩაის მრეწველობის სამეცნიერო კვლევებს, საერთო პროექტების შემუშავებას, ჩაის სადემონსტრაციო პრანტაციების შექმნას, ახალი ჩაის პრანტაციების გაშენებას და არსებულის რეაბილიტაციას, ჩაის ხარისხის გაუმჯობესებას და საერთო ძარებით მუშაობას გულისხმობს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში ჩაის ინდუსტრიის განვითარების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმში თბილისში, გასული წლის 11 მაისს საპარტნიორო ფონდს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ჩინურ კომპანიებს Beijing Jinfenghengye Agricultural Development Co., Ltd. და Xinjiang Hualing & Trade (Group) Co. Ltd, შორის გაფორმდა. “ჰანთანგიუანის საერთაშორისო ჰორდინგური ჯგუფი” საქართველოში კომპანია Xinjiang Hualing & Trade (Group) Co. Ltd-ის მიერ არის დაფუძნებული.